ხელშეკრულება №04/76

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 08.02. 2023წ

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის #76 საჯარო სკოლა (მისამართი: თბილისი, აეროპორტის დასახლრბა ს/კ 208142829 სს ლიბერთი ბანკი LBRTGE22 ა/ა GE77LB0121153139247000 მობ: 577332040 (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნათია სებისკვერაძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს " პრინტერსი",** "(მისამართი: თბილისი ბუდაპეშტის 11 ; სს თიბისი ბანკი ბ/კ ა/ა G76TB7672636080100016 (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი **ნანა უჯირაულის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სკოლის პრინტერებისათვის კატრიჯების შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ. (cpv 50300000)

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს **125,00 (** ასოცდახუთი ლარი 00 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 15 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ. თბილისი,აეროპორტის დასახლება).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ #76 საჯარო სკოლა	**შპს „პრინტერსი“**
საიდენტიფიკაციო კოდი: 208142829	
მისამართი: თბილისი, აეროპორტის დასახლება	საიდენტიფიკაციო კოდი: 441561374
სს ლიბერთი ბანკი ,	მისამართი: თბილისი, ბუდაპეშტის 11
ბანკის კოდი: LBRTGE22	ს.ს. თიბის ბანკი
ანგარიშის №GE77LB0121153139247000	ანგარიშის №GE76TB7672636080100016
მობ : 577332040	ტელ 555266040
---	---
/ნათია სებისკვერაძე/	**/ნანა უჯიერაული/**

დანართი 1

2023წლის #04/76 ხელშეკრულებასთან (08 თებერვალი 2023წ)

ხელშეკრულების საგნის აღწერა

#	პროდუქციის დასახელება	cpv	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთ ფასი (ლარი)	თანხა (ლარი)
1	კარტრიჯი MF4730 canon	50300000	ცალი	2	25	50,00
2	კატრიჯი CF283A	50300000	ცალი	2	25	50.00
3	კატრიჯი Canon MF3010	50300000	ცალი	1	25	25.00
	სულ					125.00

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

/ნათია სებისკვერაძე / **/ ნანა უჯრაული/**

დანართი # 2

2023 წლის 08 თებერვალი #04/76 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებასთან

ჩვენ 2023წ 8 თებერვალი გაფორმებულ #04/76 ხელშეკრულებაზე ხელმომწერნი ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირი ქალაქ თბილისის #76 საჯარო დირექტორის **ნათია სებისკვერაძის** სახით და მეორეს მხრივ შპს „**პრინტერსი** “ **ნანა უჯირაულის** სახით ამ დანართზე ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის ინტერესთა კონფლიქტი არაა. წინამდებარე დანართი შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო მეორე ეგზემპლიარი მიმწოდებელს.

შემსყიდველის მხრიდან	**მიმწოდებელის მხრიდან**
სსიპ **ქალაქ თბილისის #76 საჯარო სკოლა**	**შპს ‘ პრინტერსი“**
	დირექტორი:
სკოლის დირექტორი **/ნათია სებისკვერაძე/**	**/ნანა უჯირაული/**

Nana Ujirauli 08001000979

Digitally signed by Nana Ujirauli
Date: 2023.02.08 20:36:11